ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი



2016 - 2019 წწ.

შინაარსი

შესავალი 3

II. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საპასპორტო მონაცემები 4

ა) გეოგრაფიული მდებარეობა 4

ბ) დემოგრაფია და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები 4

გ) დასაქმება 5

დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა პროდუქტი 5

ე) სამრეწველო პოტენციალი, მეწარმეობა და ბიზნეს სექტორი 5

ვ) ტურიზმი 5

ზ) საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა 6

თ) სოფლის მეურნეობა 6

ი) სოციალური მდგომარეობა და სოციალური ინფრასტრუქტურა 6

კ)ტყის რესურსი და გარემოს დაცვა 6

ლ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი 7

III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 27

IV. ხედვა. მისია და პრიორიტეტები 30

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა 30

ბ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია 31

V. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები 32

შესავალი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის მათ საჭიროებებზე დაფუძნებული მომსახურებების მიწოდებას მოითხოვს. შეზღუდული რესურსების პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ პრიორიტეტების სწორად გამოკვეთა და სახსრების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ამდენად, მუნიციპალიტეტის განვითრების საშუალოვადიანი დაგეგმვა ერთ-ერთი კრიტიკული მნიშვნელობის ინსტრუმენტია.

საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, საშუალოვადიანი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელებისა და ანგარიშგების ერთიან პროცესს. ამ პროცესის მეშვეობით უნდა განისაზღვრის ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები განახორციელებენ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმების ერთ-ერთი შემადგენელია საშუალოვადიან დაგეგმვასა და პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გადასვლა, რაც თვითმმართველ ერთეულებში 2013 წლიდან ხორციელდება. თუმცა, რეფორმის პირველ ეტაპზე საშუალოვადიან დაგეგმვასა და პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენას ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო ძირითადი აქცენტი პროგრამულ ბიუჯეტირებაზე გაკეთდა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავება მიზნად ისახავს საშუალოვადიანი დაგეგმვის პროცესით დაინტერესებული ყველა მხარის, მათ შორის, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს, ადგილობრივი არასამთავრობო და სათელო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების, საქართველოს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის, ჩართულობის უზრუნველყოფას საშუალოვადიანი პრიორიტეტებისა და სოციო-ეკონომიური განვითარების გეგმის შედგენის პროცესში. ამდენად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში ასახული იქნება მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე პროექტთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირი და მოსაზრებები.

II. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საპასპორტო მონაცემები

ა) გეოგრაფიული მდებარეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მუნიციპალიტეტის ფართი შეადგენს 913,9 კვ.მ. დასავლეთით ესაზღვრება ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები, სამხრეთით ბორჯომის, აღმოსავლეთით ხაშურის, ჩრდილოეთით კი ჭიათურისა და საჩხერის მუნიციპალიტეტები. მდებარეობს ზღვის დონიდან 285 – 2,642 (საშუალოდ 420) მ. ტერიტორია მთაგორიანია. კლიმატი სუბტროპიკულია. ზამთარი ზომიერად ცივია, ზაფხული შედარებით გრილი. მუნიციპალიტეტის ფართობია 91,3 (ათასი) ჰა. წლიური ნალექიანობა არის 1200-1800 მმ. მთლიანი ტერიტორიის 180 კვ. კმ უჭირავს დაბლობს, ხოლო 733, 9 კვ.კმ. – მთიან ადგილებს. მუნიციპალიტეტის ყველაზე მაღალი წერტილია მთა სამეცხვარიო 2642 მეტრი. გვხვდება თიხნარი, ღია და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგები, სუბალპური მდელოები.

ბ) დემოგრაფია და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მოიცავს დაბა ხარაგაულს, 16 თემს და 3 სოფელს

თემები:

- ბაზალეთი;
- ბორითი
- ვახანი
- ზვარე
- კიცხი
- ლაშე
- ლეღვანი
- მოლითი
- ნადაბური

- სარგვეში
- საღანძილე
- ფარცხნალი
- წიფა
- წყალაფორეთი
- ხევი
- ხუნევი.

სოფლები:

- ვარძია
- ღორეშა
- ხიდარი

გ) დასაქმება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა დასაქმებულია საჯარო სტრუქტურებში, განათლებაში, ხე-ტყის გადამუშავების მრეწველობაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, რეალიზაციასა და გადამუშავებაში და ტურიზმში.

დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შიდა პროდუქტი

ე) სამრეწველო პოტენციალი, მეწარმეობა და ბიზნეს სექტორი

სამრეწვწლო პოტენციალი დღეისათვის შემოიფარგლება მხოლოდ ბუნებრივი რესურსების მოპოვებითა და რეალიზაციით. ბუნებრივი რესურსების კარიერებზე მოიპოვება: მარმარილოსებრი კირქვის საბადო (ხორითი,მოლითი, მარელისი, საქასრია), მოსაპირკეთებელი მასალა (წიფა) ,სამშენებლო ქვები (ხანდები, ამაშუკეთი''კოზმანი'') ,კვარცის მიწა (ქროლი) ,კირქვა (ბაზალეთი) ,თერმული ბალნეოლოგიური წყლები "ნუნისი" ,მინერალური წყლები "ზვარე"

ვ) ტურიზმი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავ ტურიზმს. ამას ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და კურორტი ნუნისი.

ხარაგულს ეკუთვნის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, პარკი თავისი უნიკალური ფლორითა და ფაუნით მდიდარ ლანდშაფტს ქმნის. ეროვნული პარკის ფართობი 230კვ.კმ. პარკი მდებარეობს საქართველოს ცენტრალურ ნაწილში. ტურისტებს აქვთ შესაძლებლობა დაისვენონ და ისიამოვნონ ველური ბუნების საოცრებებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ასევევ კურორტები, ნუნისი და ზვარე

ზ) საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ტერიტორია საკვანძო როლს ასრულებს საქართველოს სატრანსპორტო სისტემაში. ის აკავშირებს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წიფის გვირაბითა (3910 მ.) და ხანდების გვირაბით (740 მ.). აქ გადის საქართველოს საავტომობილო მაგისტრალი ს1 და ხაშური-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რკინიგზის რამდენიმე სადგურია: ხარაგაული, მოლითი, მარელისი,

თ) სოფლის მეურნეობა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, საკმაოდ განვითარებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები. იმის მიუხედავად, რომ მუნიციპალიტეტში ძალზედ სუსტადაა წარმოდგენილი გადამამუშავებელი მრეწველობა და ფაქტიურად არ არსებობს საშუალო ან გამსხვილებული ტიპის ფერმერული მეურნეობები, რაიონი ფლობს ძალზედ მაღალ საბაზისო მაჩვენებლებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხობრივი და ეკოლოგიური მიმართულებების კუთხით

ი) სოციალური მდგომარეობა და სოციალური ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტში არის 11 საჯარო და 3 საბაზო სკოლა. მუნიციპალიტეტის ცენტრში, დაბა ხარაგაულში მოქმედებს მოსწავლეთა სახლი, საავადმყოფო,პოლიკლინიკა, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლა, კინოთეატრი. 1998 წლის მარტიდან გამოდის გაზეთი „ჩემი ხარაგაული". მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 ბიბლიოთეკა·

დაბა ხარაგაულში არის საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“, რომელიც დაარსდა 1983 წელს. 2010 წლიდან ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში, რაც გუნდისთვის თავისი ისტორიის მანძილზე საუკეთესო შედეგია. „ჩხერიმელას“ საშინაო არენაა ხარაგაულის საფეხბურთო მოედანი

კ)ტყის რესურსი და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის უპირველეს სიმდიდრეს ტყე წარმოადგენს. მას ტერიტორიის 2/3 (68,2%-ზე მეტი) უჭირავს - დაახლოებით 650 კვ.კმ. საქართველოში ხარაგაული ითვლება ყველაზე დიდ და მდიდარ რაიონად ხის რესურსების მხრივ.მუნიციპალიტეტში გავრცელებულია ველისა და ტყის ცხოველები. ვაკეზე ბინადრობს ზღარბი, თხუნელა, კურდღელი, სტეპისთაგვი; ტყეებში გვხვდება გარეული ღორი, მგელი, ტურა, კვერნა, მელა, შველი; მდინარეთა ხეობებშია წავი. ორნითოფაუნა უხვადაა

წარმოდგენილი, აღსანიშნავია კაჭკაჭი, ყარყატი, ყვავი, შოშია, მწყერი, ჩიტბატონა, გნოლი, კაკაბი, ტყის ქათამი და გარეული ინდაური.

ლ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

2014 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 9972,4 ათასი ლარი, მათ შორის გადასახადებმა შეადგინა 977,0 ათასი ლარი, გრანტებმა 7493,3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლებმა 1479,9 ათასი ლარი და არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 22,2 ათასი ლარი. ფაქტიურ შემოსულობებში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი შეადგენდა 3049,2 ათას ლარს და 6923,2 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებს. აღსანიშნავია რომ 2013 წელთან შედარებთ 2014 წელს მობილიზებული იქნა 1542,3 ათასი ლარით მეტი საკუთარი შემოსავლები (2013 წლის მიღებული იქნა 5380,9 ათასი ლარი)

2014 წელს გაწეული იქნა 11113,1 ათასი ლარის ხარჯი, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით გაწეული იქნა 4460,4 ათასი ლარის ხარჯი და შესაბამისად საკუთარი შემოსავლებით 6652,7 ათასი ლარი, წინა 2013 წელთან შედარებთ 1570,9 ათასი ლარით მეტი (2013 წელს საკუთარი შემოსავლებით დაფინანსდა 5081,8 ათასი ლარის ხარჯი) 2014 წელს საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდა 2514,0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის 20 ტ/ერთეულში შეკეთდა დამეწყრილი და დაზიანებული შიდა სასოფლო გზები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფ ხიდებსა და ბოგირებს. მოასფალტდა ხარაგაული-ფარცხნალის და ვარძია-წყალაფორეთის გზები, დაიწყო კიცხი-ხიდარის გზის მოასფალტება. დასრულდა დაბის ქუჩების მოასფალტება, მოეწყო სასულიეო გიმნაზიის საყრდენი კედელი. კომუნალური ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაზე დაიხარჯა 720,0 ათასი ლარი. კეთიმოწყობაზე 123,8 ათასი ლარი, სოფლის მხარდამჭერი პროგრამის დაფინანსებაზე 808,1 ათასი ლარი, განათლებას მოხმარდა 1578,8 ათასი ლარი, აქედან 685,5 ათასი ლარი ახალი ბაღების მშენებლობაზე მიიმართა.

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად გაწეულია 1933,5 ათასი ლარი, ამ პროგრამის ფარგლებში დასრულდა ახლადაშენებული სპორტული კომპლექსისათვის სპორტული ინვენტარით აღჭურვა და ეზოს კეთილმოწყობა; რეაბილიტაცია გაუკეთდა კინო-თეატრს და შეძენილი იქნა საჭირო აპარატურა.

დაბის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში მუნიციპალიტეტმა გადარიცხა 68,0 ათსი ლარი და 66,2 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა ეკლესიებისა და ტაძრების სუბსიდირებას. სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯა 822,8 ათასი ლარი, მ. შ. 115,2 ათასი ლარი მოხმარდა სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფას.

2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით განსაზღვრულია 9743,7 ათასი ლარის შემოსულობების მიღება, წლის განმავლობაში ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 3196,6

ათასი ლარით, შემოსულობები მთლიანად გაიზარდა სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი 3196,6 ათასი ლარით, მ.შ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2429,1 ათასი ლარით და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გამოყოფილი 767,5 ატასი ლარით.

2015 წელს დაგეგმილია 10602,3 ათასი ლარის ხარჯის გაწევა, ხარჯების გეგმა გაიზარდა 4055,2 ათასი ლარით, აქედან 858,6 ათასი ლარი არის გასული წლის დაგროვილი ნაშთი (სახელმწიფო ფონდები 28,3 ათასი ლარი და საკ. სახსრების ნაშთი 830,3 ათასი ლარი), 2015 წელს დაგეგმილია 3363,9 ათასი ლარი გაწეული იქნას სახელმწიფო ფონდების ხარჯებიდან და 7239,4 ათასი ლარი არის საკუთარი სახსრებიდან.

მიმდინარე წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზებს, მოასფალტდა ხარაგაული-ბაზალეთის გზა და დასრულდა კიცხი-ხიდარის გზის მოასფალტება. მიმდინარეობს მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია, დასრულდა სოფელ მაქათუბანში ხიდის მშენებლობა. მიმდინარეობს დაბა ხარაგაულში არსებული ღია ესტრადისა და ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, დაბაში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებრე ტერიტორიაზე მოეწყო ინფრასტრუქტურა და მის მიმდებარე ქუჩებზე მოეწყო წყალმომარაგების სისტემა. დასრულდა ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია. დაფინანსდა ბორის სკოლა-ინტერნატის ბაზაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ მქონე ბავშვებისათვის დღის ცენტრის მოწყობის სამუშაოები . წლის ბოლომდე მოასფალტდსება ხარაგაული -ფარცხნალის გზა.

შეძენილი იქნა მოქმედი და მშენებარე ბაღებისათვის სხვადასხვა სახის ინვენტარი. გაფართოვდა და ექსპლუატაციაში შევიდა გარე განათების ახალი ქსელი. გარდა ამისა, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებული სახსრებით დაფინანსდა სოფლის სახლის მშენებლობა, სასოფლო გზების შეკეთება, ხიდ–ბოგირების მშენებლობა–რეაბილიტაცია, მოეწყო ნაპირსამაგრები, შეკეთდა კანალიზაციის სისტემა, მოეწყო და შეკეთდა სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემა, გარე განათების სისტემა, მოეწყო სპორტული მოედნები, შემოიღობა სასაფლაოები, მოეწყო დასასვენებელი სკვერები, აშენდა და შეკეთდა წისქვილები, დასრულდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია, დასრულდა სარიტუალო დარბაზების შეკეთება და შეძენილი იქნა სარიტუალო ჭურჭელი ამასთან მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი სახსრებით თანადაფინანსების წესით განხორციელდა მთელი რიგი პროექტები.

მოხდა ლეღვნის ა/ერთეულში და ნადაბურის ა/ერთეულში სასოფლო და საუბნო გზების შეკეთება სანიაღვრე არხებით, სოფ.კიცხში მოეწყო სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია, ზვარის ა/ერთეულის სოფ.ნუნისში შეკეთდა გზის დამეწყრილი მონაკვეთი, სოფ.საქასრიაში მდ.საქასრიულაზე მოეწყო მცირე გამავლობის ხიდ-ბოგირი, სოფ.მაქათუბანში მდ.ხელმოსმულაზე

მოეწყო საცალფეხო ბოგირი, სოფ.ბაზალეთში თხელიძეების უბანში მოეწყო მცირე გამავლობის ხიდ-ბოგირი, საღანძილის ა/ერთეულში მოხდა წყალდიდობისგან დაზიანებული გზების გაწმენდა ასევე სოფ.ისლარში ღელის კალაპოტის გაწმენდა, შეკეთდა ღორეშის ა/ერთეულში კვადოურის უბნის გზა, მოხდა გზების შეკეთება მოლითში, ფარცხნალში და ვახანში, სოფ,ღარიხევში ბრუისის უბანში შეკეთდა ხიდ-ბოგირი, მოხდა N1 ,N2 საბავშვო ბაღების სამზარეულოსა და სველი წერტილების რეაბილიტაცია, სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების შეკეთება, მოლითის ა/ერთეულში (ბაბი) წყლის სისტემის შეკეთება, ბაზალეთის ა/ერთეულში წყლის სისტემის შეკეთება, სოფ.ხიდრის და სოფ.ზვარის საბავშვო ბაღების ეზოს კეთილმოწყობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ძირითადი მონაცემები 2014-2019 წლებში

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
გადასახადები	977.0	0.0	977.0	880.0	0.0	880.0	1,230.0	0.0	1,230.0	1,250.0	1,250.0	1,250.0
საშემოსავლო გადასახადი	0.0			0.0			280.0		280.0	300.0	300.0	300.0
ქონების გადასახადი	977.0	0.0	977.0	880.0	0.0	880.0	950.0	0.0	950.0	950.0	950.0	950.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	85.8		85.8	80.0		80.0	80.0		80.0	80.0	80.0	80.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	2.0		2.0	0.0			0.0					
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	889.2	0.0	889.2	800.0	0.0	800.0	870.0	0.0	870.0	870.0	870.0	870.0
იურიდიულ პირებიდან	889.2		889.2	800.0		800.0	870.0		870.0	870.0	870.0	870.0

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
სხვა შემოსავლები	1,479.9	0.0	1,479.9	1,223.0	0.0	1,223.0	1,165.0	0.0	1,165.0	1,230.0	1,300.0	1,310.0
შემოსავლები საკუთრებიდან	219.2	0.0	219.2	195.0	0.0	195.0	140.0	0.0	140.0	200.0	260.0	260.0
პროცენტები	87.3		87.3	60.0		60.0	0.0					
რენტა	131.9	0.0	131.9	135.0	0.0	135.0	140.0	0.0	140.0	200.0	260.0	260.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	101.9		101.9	115.0		115.0	100.0		100.0	150.0	200.0	200.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	30.0		30.0	20.0		20.0	40.0		40.0	50.0	60.0	60.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	6.9	0.0	6.9	8.0	0.0	8.0	25.0	0.0	25.0	30.0	40.0	50.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	6.9	0.0	6.9	8.0	0.0	8.0	25.0	0.0	25.0	30.0	40.0	50.0
სანებართვო მოსაკრებელი	0.9		0.9	0.0			0.0			5.0	10.0	10.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.0		6.0	8.0		8.0	25.0		25.0	25.0	30.0	40.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,241.6		1,241.6	1,020.0		1,020.0	1,000.0		1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0

დასახელება	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	12.2		12.2	0.0			0.0					
არაფინანსური აქტივების კლება	22.2	0.0	22.2	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0	0.0	25.0	15.0
ძირითადი აქტივები	11.9		11.9	0.0			10.0		10.0			
არაწარმოებული აქტივები	10.3	0.0	10.3	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0	0.0	25.0	15.0
მიწა	10.3		10.3	0.0			10.0		10.0		25.0	15.0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები 2016-2019

1. **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

   მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,190.9	3,155.4	1,035.5	4,431.2	3,125.9	1,305.3	1,182.2	0.0	1,182.2	1,291.0	1,207.0	1,305.0
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	2,514.0	2,145.0	369.0	1,891.5	1,656.3	235.2	229.0	0.0	229.0	115.0	177.0	255.0
გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	1,584.6	1,272.9	311.7	1,800.9	1,648.2	152.7	180.0	0.0	180.0	55.0	105.0	155.0
ხიდების ბოგირების აშენება, შეკეთება	126.5	83.5	43.0	86.1	8.1	78.0	40.0	0.0	40.0	50.0	60.0	80.0
ქუჩებისა და ტროტუარების მოწყობა, მოვლა-პატრონობა	802.9	788.6	14.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	4.5	0.0	4.5	9.0	0.0	9.0	10.0	12.0	20.0
კომუნალური ინფრასტრუქტურის	720.0	228.3	491.7	964.5	216.0	748.5	701.2	0.0	701.2	960.0	800.0	810.0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია												
სანიაღვრე და საკანალიზაციო არხების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა	8.6	0.0	8.6	43.3	33.3	10.0	10.0	0.0	10.0	20.0	25.0	30.0
დასუფთავების ღონისძიებები	453.9	169.5	284.4	484.0	0.0	484.0	405.0	0.0	405.0	500.0	500.0	500.0
მრავალბინიანი სახლების რეკონსტრუქცია	27.5	0.0	27.5	50.0	0.0	50.0	0.0	0.0	0.0	150.0	0.0	0.0
წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	34.8	0.0	34.8	201.6	179.2	22.4	59.7	0.0	59.7	50.0	50.0	50.0
გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	195.2	58.8	136.4	185.6	3.5	182.1	226.5	0.0	226.5	240.0	225.0	230.0
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	123.8	0.0	123.8	701.3	465.9	235.4	192.0	0.0	192.0	206.0	220.0	230.0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	123.8	0.0	123.8	691.3	465.9	225.4	192.0	0.0	192.0	196.0	200.0	200.0
სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	0.0	0.0	0.0	10.0	0.0	10.0	0.0	0.0	0.0	10.0	20.0	30.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	808.1	782.1	26.0	841.8	787.7	54.1	50.0	0.0	50.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მეურნეობის დაფინანსება	25.0	0.0	25.0	32.1	0.0	32.1	10.0	0.0	10.0	10.0	10.0	10.0

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება სანიაღვრე არხების მოწესრიგება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება .

2.2.1. სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლების, დამბებისა და წყლის შემკრები ავზების მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები.

2.2.2. დასუფთავების ღონისძიებები და მაწანწალა ძაღლების იზოლირება (პროგრამული კოდი 03 02 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ამ პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, დაბის მოსახლეობის მაწანწალა ძაღლებისაგან დაცვა. ახლადშექმნილი წყალანირების ჯგუფის მიერ კანალიზაციის დაზიანებული წერტილების აღმოფხვრა–შეკეთება. დაფინანსდება აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები.დასუფთავების ღონისძიებები გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულბის სოფლებში ზვარე, მოლითი, ბეჟათუბანი ,დიდვაკე, ჯაფარეული,ბაზალეთი, ფარცხნალი, თეთრაწყარო,საქარიქედი, კიცხი,ხიდარი,ვარძია, წყალაფორეთი, ბორი, ლასე, უბისა, მაქათუბანი, ბორითი, საქასრია, ვერტყვიჭალა,ხევი, ხუნევი, რიკოთი, სადაც განთავსებულია 143 ცალი ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერი. რომელსაც ემსახურება 27 მეეზოვე (14 დაბასა და 13 ტერიტორიულ ერთეულებში) და 6 დასუფთავების ჯგუფის უფროსი. ამ კონტეინერების დაცლას და ნარჩენების გატანას ემსახურება ორი ერთეული „ ისუზუს" ტიპის სპეციალური ავტომანქანა და 4 მტვირთავი მუშა.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ამ პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში წყლის სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები, მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყობა წყლის ჭაბურღილები.

2.2.4. გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის გარე განათება, ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაცია, კერძოდ დაბაში სოლომონ მეფის, ცხრა აპრილის, გალაქტიონის, რ. დეკანოსიძის, რ. თაბუკაშვილის, ო. აბაშიძის, წერეთლის, თ. ჭიპაშვილის, ე. ჭიპაშვილის, ჭავჭავაძის, გურამიშვილის, გრიშაშვილის, დევდარიანის, ნიორაძის, კიკნაძის და გლუნჩაძის ქუჩებზე, ასევე სოფლებში დიდვაკე, ისლარი, ფარცხნალი, ნებოძირი, ლეღვანი, უბისა, მოლითი, ბორითი, კიცხი, საქარიქედსა და ბაზალეთში და არსებული ქსელის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 04)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბაში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, მწვანე ნარგავების მოვლა. სადღესასწაულო დღეებში დაბის ტერიტორიის გაფორმება და სხვა ღონისძიებები.

2.4 სოფლის მხარდამჭერი პროგრამა (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის ფარგლებში თანადაფინანსების წესით განხორციელდება კიცხის ტერიტორიულ ერთეულში სოფლის სახლის მშენებლობა.

2.5 . სოფლის მეურნეობის დაფინანსება (მევენახეობის სანერგე მეურნეობა) (პროგრამული კოდი 03 06)

ამ პროგრამით დაფინანსდება მარტივი ტიპის სანერგე მეურნეობის მოწყობა სოფელ კიცხის ტერიტორიზე ვაზის ნამყენი ნერგების ცივი გამოყვანისათვის, რაც უზრუნველყოფს სამომავლოდ მევენახეობა–მეღვინოების დარგის აღორძინებასა და შემდგომ განვითარებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;
- ეკონომიკური და ტურისტული ინტენსივობის ზრდა;
- განათებული მუნიციპალიტეტი;
- გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;
- გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- დაბის მოსახლეობისათვის სასმელი წყლით უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებზე და
- მიწაზე ზედამხედველობის გაუმჯობესებამოვლილი პარკები, სკვერები და მწვანე ნარგავები;
- დაბისა და სოფლის ცენტრების იერსახის გაუმჯობესება;
- მოვლილი, გამწვანებული სკვერები და გაზონები;
- მოსახლეობისათვის დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში არსებული ყურძნის უნიკალური ჯიშების გამრავლება;
- მევენახეობასა და ღვინის წარმოებაში წარსულში არსებული მდიდარი ტრადიციების აღდგენა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- რეაბილიტირებული და ახალი გზების რაოდენობა;
- ტურისტების რაოდენობა.

- ექსპლოატაციაში არსებული სანათი წერტილების რაოდენობა;
- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა;
- რეგისტრირებული შენობა-ნაგებობების და მიწის რაოდენობა
- რეაბილიტირებული და ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების რაოდენობა
- გამოყვანილი ვაზის ნერგების რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება;
- ვაზის სანერგე მეურნეობის გაფართოება და ახალი ჯიშების გამოყვანა

2. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
განათლება	1,578.8	795.9	782.9	1,252.7	0.0	1,252.7	1,018.5	0.0	1,018.5	1,140.0	1,150.0	1,165.0
სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა	1,376.9	795.9	581.0	1,001.4	0.0	1,001.4	808.5	0.0	808.5	910.0	915.0	915.0
ზოგადი განათლების ხელშეწყობა	96.0	0.0	96.0	137.3	0.0	137.3	105.0	0.0	105.0	125.0	130.0	145.0
ააიპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	105.9	0.0	105.9	114.0	0.0	114.0	105.0	0.0	105.0	105.0	105.0	105.0

3.1 სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც ქმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად, ამჟამად მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სკოლამდელ განათლებას ეუფლება 480 აღსაზრდელი, რომელსაც ემსახურება 168 თანამშრომელი, მათ შორის 42 პედაგოგ-აღმზრდელი და 12 ფსიქოლოგ-პედაგოგი. გაერთიანებაში ამჟამად შედის ცამეტი საბავშვო ბაღი და უახლოეს პერიოდში ექსპლუატაციაში შევა კიდევ ერთი საბავშვო ბაღი სოფელ ზვარეში.

3.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ხდება მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურების დაფინანსება. სკოლაში სწავლობს 117 მოსწავლე და 24 სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ღამეს ათევს უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 16 მოსწავლე, დაფინანსება ძირითადად ხმარდება ხელფასებს, (სკოლაში მუშაობს 59 თანამშრომელი და 32 თანამშრომელი ხელფასს იღებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან), ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით და სწავლის პერიოდში ანაზღაურებს კომუნალურ ხარჯებს.

3.3 სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა;
- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღები;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი და ტექნიკური უნარ-ჩვევების ამაღლება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბავშვების ფიზიკური და გონებრივი აღზრდა, შემდგომში მათი სწორი განვითარების მიზნით;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის მრავალმხრივი ნიჭის გამოვლენა და ინტელექტუალური განვითარება.

3. კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,933.5	503.8	1,429.7	1,642.3	99.0	1,543.3	1,347.0	0.0	1,347.0	1,320.0	1,362.5	1,330.0
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	562.9	85.6	477.3	570.6	0.0	570.6	511.0	0.0	511.0	516.0	558.5	526.0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	11.1	0.0	11.1	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0	13.0	13.0	13.0
სპორტის განვითარებისა და მართვის ცენტრი	166.6	0.0	166.6	235.0	0.0	235.0	205.0	0.0	205.0	220.0	226.0	250.0
სპორტული კომპლექსის მშენებლობა	95.5	85.6	9.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა-2009“-ის დაფინანსება	165.0	0.0	165.0	200.0	0.0	200.0	183.0	0.0	183.0	150.0	206.5	150.0
სპორტული მოედნების (სტადიონების) მოწყობა	14.0	0.0	14.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	0.0
სპორტულ–გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი	110.7	0.0	110.7	125.6	0.0	125.6	113.0	0.0	113.0	113.0	113.0	113.0
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1,194.1	418.2	775.9	893.9	94.0	799.9	711.0	0.0	711.0	681.0	681.0	681.0
სამუსიკო სკოლა	130.0	0.0	130.0	100.0	0.0	100.0	90.0	0.0	90.0	90.0	90.0	90.0
ხალხური შემოქმედების სახლი	81.5	0.0	81.5	80.0	0.0	80.0	72.0	0.0	72.0	72.0	72.0	72.0
კულტურის ცენტრი	687.9	418.2	269.7	265.5	0.0	265.5	232.0	0.0	232.0	232.0	232.0	232.0
ცენტრალური ბიბლიოთეკა	158.3	0.0	158.3	297.4	94.0	203.4	180.0	0.0	180.0	150.0	150.0	150.0
ისტორიული მუზეუმი	86.3	0.0	86.3	96.0	0.0	96.0	87.0	0.0	87.0	87.0	87.0	87.0
რ.თაბუკაშვილის სახ. სახალხო ლიტერატურული თეატრი	50.1	0.0	50.1	55.0	0.0	55.0	50.0	0.0	50.0	50.0	50.0	50.0

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	28.6	0.0	28.6	47.8	0.0	47.8	60.0	0.0	60.0	55.0	55.0	55.0
ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	13.7	0.0	13.7	25.0	5.0	20.0	15.0	0.0	15.0	18.0	18.0	18.0
რელიგიის დაფინანსება	134.2	0.0	134.2	105.0	0.0	105.0	50.0	0.0	50.0	50.0	50.0	50.0

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშში და ჭადრაკში,მკლავჭიდში, მინი ფეხბურთში უბნებსა და ორგანიზაციებს შორის, ნ.ახალკაცის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, თ. გიორგაძის ხსოვნის ტრუნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ბ. გოგნაძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,მუნიციპალიტეტის პირველობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის. რესპუბლიკური ტურნირების მოწყობა კარატეში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში. მონაწილეობის მიღება სოფელ ვახანში მ. არევაძის სახელობის სახალხო დღესასწაულში.

აგრეთვე მოხდება ხარაგაულის სასპორტო სკოლის, ,,საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა -2009“–ისა და სპორტულ–გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შ. ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის, ხალხური შემოქმედების სახლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ი. აბაშიძის სახელობის კულტურის

ცენტრის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, ისტორიული მუზეუმისა და რ. თაბუკაშვილის სახ. სახალხო თეატრის სუბსიდირება.

4.3. ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოცემული სხვადასხვა საკნონმდებლო აქტების გამოქვეყნების დაფინანსება, მუნიციპალიტეტის საქმიანობის გაშუქება სხვადასხა სატელევიზიო არხების საშუალებით და დაფინასდება მუნიციპალიტეტის მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის ცენტრი.

4.4 ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზება, პროექტი ,,მხიარული სტარტების“ ჩატარება. სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება „ხარაგაულობა“-ს მოწყობა, სხვადასხვა შემსრულებლების მოწვევა.

4.5 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია დაბაში მშენებარე საკათედრო ტაძრის მშენებლობის თანადაფინასებაში მონაწილეობა. ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ეკლესია–მონასტრებს და სასულიერო გიმნაზიას.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა და წარმატებული სპორტსმენების რაოდენობის ზრდა;
- კულტურული ტრადიციების დაცვა და პოპულარიზაცია;
- მოსახლეობის მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში;
- კულტურული ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში;
- ახალგაზრდების ასოციალური ქცევების პრევენცია და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა.
- კვალიფიციური პედაგოგებისა და მწვრთნელების მოზიდვა.
- კულტურული ღონისძიებების ინტენსიურობის გაზრდილი მაჩვენებელი;
- ახალგაზრდული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა .

4.მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2014 წლის ფაქტი			2015 წლის გეგმა			2016 წლის პროექტი			2017 წლის პროგნოზი	2018 წლის პროგნოზი	2019 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	929.1	0.0	929.1	782.1	112.0	670.1	756.0	51.0	705.0	1,058.0	1,063.0	1,068.0
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	110.8	0.0	110.8	115.0	110.0	5.0	104.0	49.0	55.0	104.0	104.0	104.0
სოციალური პროგრამები	818.3	0.0	818.3	667.1	2.0	665.1	652.0	2.0	650.0	954.0	959.0	964.0
უფასო სასადილოს დაფინანსება	91.6	0.0	91.6	96.3	0.0	96.3	97.0	0.0	97.0	87.0	87.0	87.0
სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის და დახმარების ხარჯები	573.8	0.0	573.8	448.8	0.0	448.8	503.0	0.0	503.0	800.0	800.0	800.0

ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის დახმარების ხარჯები	36.7	0.0	36.7	43.0	0.0	43.0	20.0	0.0	20.0	35.0	40.0	45.0
ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯი	1.0	0.0	1.0	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0	2.0	2.0
სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა	115.2	0.0	115.2	77.0	0.0	77.0	30.0	0.0	30.0	30.0	30.0	30.0

4.1.საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები, კერძოდ

- ეპიდზედამხედველობის განხორციელება და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები;
- მიმდინარე ეპიდემიოლოგიური პროცესების ტენდენციებისა და დინამიკის, ინფექციურ დაავადებათა მასშტაბების, გავრცელების ხასიათისა და მათი სოციალ–ეკონომიკური მნიშვნელობის ყოველკვარტალურად შესწავლა;
- ინფექციურ დაავადებათა შემთხვევების კერებში ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებათა რეალიზება;
- არაინფექციურ დაავადებათა გავრცელების მეთვალყურეობა სამოქმედო ტერიტორიაზე, ავადობის დინამიკაზე ეპიდზედამხედველობის განხორციელება, სათანადო ინფორმაციის შეკრება, მოძიება, რეგისტრაცია, დამუშავება–ანალიზი და ანგარიშგება, მოსახლეობაში პროფილაქტიკურ–საგანმათლებლო სამუშაოების წარმოება.
- მოსახლეობაში გრიპით ავადობის მონიტორინგი. მისი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება.
- პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის დაგეგმავა, განხორციელების ორგანიზაცია, სამიზნე კონტიგენტების იმუნიზაციის მოცვის მაღალი მაჩვენებლების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელება. მოსახლეობაში პროფილაქტიკურ–საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.
- ჰელმინთოზების მიზანმიმართული სკრინინგული კვლევების საფუძველზე, პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება–გატარება და რეკომენდაციების მომზადება;
- ცოფის გავრცელების სიტუაციური მართვის პროცესებზე სისტემატური მონიტორინგის წარმოება და სათანადო სამსახურების დროული ინფორმირება, ანტირაბიული კაბინეტის

ფუნქციონირების ხელშეწყობა, სამედიცინო პერსონალის ინსტრუქტაჟი შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების და სასწრაფო შეტყობინების არსებული წესების დაცვის შესახებ;

- ანაფელოგენური წყალსატევების აღრიცხვა–პასპორტიზაცია და დაგამბუზირებული წყალსატევების გამოკვლევა და გადამტანის წყლის ფაზების აღმოჩენის შემთხვევაში მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარების ორგანიზება;
- ანაფელოგენურ წყალსატევებში გამბუზიის მაქსიმალური გავრცელება;

4.2.სოციალური პროგრამები – (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ბენეფიციარებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4.3 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მზრუნველობამოკლებული მოხუცების, ინვალიდების და მრავალშვილიანი ოჯახების ყოველდღიურ ერთჯერად კვებას გარდა კვირა დღისა. სასადილო ემსახურება 70 ბენეფიციარს, მუშაობს ყველა სადღესასწაულო დღეს და დღესასწაული აღინიშნება მცირედი საჩუქრებით. რეაბილიტაცია ჩაუტარდება უფასო სასადილოსათვის განკუთვნილ შენობას.

4.4. სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ოპერაციებისა და სამედიცინო კვლევების თანადაფინანსებას, ასევე სიცოცხლისთვის საშიში და პროგრესირებადი დაავადების მქონე ავადმყოფების მედიკამენტებით უზრუნველყოფას. სამედიცინო დახმარების პროგრამა განხორციელდება შესაბამისი კომისიის დებულების მიხედვით. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების, რომლებიც სხვადასვა მიზეზების გამო განიცდიან უკიდურეს გასაჭირს, ერთჯერად ფინანსურ დახმარებას. დახმარების ოდენობა განისაზღვროს არაუმეტეს 500 ლარით(დახმარება განხორციელდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით).

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის პირების ერთჯერად ფინანსურ დახმარებას, მათ შორის: უნარშეზღუდული და მძიმე

ავადმყოფობის მქონე ბავშვების საკურორტო-სარეაბილიტაციო კურსის თანადაფინანსებას. გარდა ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა შშმ პირთა გარემოსთან ხელმისაწვდომობის, მათი საზოგადოებასთან ინტეგრაციის, ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების რიგი ღონისძიებები გათვალისწინებულია როგორც სოციალური დარგის სხვადასხვა კოდებით გათვალისწინებული პროგრამებიდან, ასევე ბიუჯეტის სხვა დარგების პროგრამებიდან.

სოციალურად დაუცველ პირთა დაკრძალვის ხარჯებით დახმარებას. პროგრამის მოსარგებლნი არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი გარდაცვლილთა ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57000-ს, მათი ოჯახებისათვის გაწეული ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება 200 ლარით.

სადღესასწაულო დღეებში (შობა–ახალი წელი, აღდგომა) საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, უდედმამო ბავშვების, უკიდურესად გაჭირვებულ, დავრდომილ და ინვალიდ მოქალაქეების, იძულებით გადაადგილებულ პირების ფინანსური , მატერიალური და მორალური მხარდაჭერა; მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეებს (9 მაისთან დაკავშირებით), ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით შშმ ბავშვთა ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერას (1 ივნისი), დედის და ქალთა დღეებთან დაკავშირებით მრავალშვილიან, დავრდომილ, ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა დედებს ფინანსური ან მატერიალური მხარდაჭერა.

ლეიკემიით დაავადებულ და ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლე ბენეფიციარები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდებიან ყოველთვიურად 100 ლარით.

4.5 ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების ხარჯები – (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების ერთჯერად დახმარებას. ახალშობილთა ოჯახების სოციალური დაცვის ერთჯერადი დახმარებები: პირველი ბავშვის შეძენისას _100 ლარი, მეორე ბავშვის შეძენისას _ 200 ლარი; მესამე ბავშვის შეძენისას _ 300 ლარი, მეოთხე ბავშვის შეძენისას _ 400 ლარი, მეხუთე ბავშვის შეძენისას _ 500 და ყოველი მომდევნო ბავშვის შეძენის შემთხვევაში _ 800 ლარი; ტყუპების შეძენის შემთხვევაში _ 700 ლარი.

4.6. ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში) და სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში);

4.7. სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა –(პროგრამული კოდი 06 02 06)

სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახთა ერთჯერადი დახმარება დაზიანების ხარისხის მიხედვით. დახმარების გაცემა მოხდეს კომისიის დებულების შესაბამისად სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებების შემსწავლელი კომისიის წარდგინებით.

ასევე უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებლით უზრნველყოფა.

მოსალოდნელი უშუალოდური შედეგები:

- მოსახლეობის დაცვა სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა გავრცელებისგან;
- მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური -ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება
- ჩატარებული პრევენციული ღონისძიებების რაოდენობა;
- პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა რაოდეობა;

III. მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა; • მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქ.ზესტაფონთან და ქ.ქუთაისთან: • მუნიციპალიტეტის მდებარეობა სატრანსპორტო კორიდორების გადაკვეთისა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგოკორიდორის ზონაში; • მდიდარი წიაღისეული რესურსები; • ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საწარმოებლად; • მოსახლეობის ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი; • ოჯახის ექიმის მომსახურებით ყველა თემის უზრუნველყოფა; • საერთაშორისო მნიშვნელობის გზების არსებობა;	• მუნიციპალიტეტშ არსებული საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი; • ინვესტიციების სიმწირე და ინვესტორებთან მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება; • კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა; • ბუნებრივი რესურსების არასაკამარისად ათვისება; • საექსპორტო ბაზრებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; • ფინანსური ინსტიტუტების სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა

• ელექტროენერგიის მომარაგებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა; • გარე განათებით დასახლების დიდი ნაწილის უზრუნველყოფა; • რაიონის სრული დაფარვა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემით უზრუნველყოფა; • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიმრავლე; • სოციალურად დაუცველთა თავშესაფრების არსებობა; • სოციალური პროგრამების სიმრავლე; •	• ბიზნეს განათლების დაბალი დონე; • უმუშევრობის მაღალი დონე; • სუსტი სამოქალაქო სექტორი და მედია; • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, აგროწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე; • სუსტი კომერციული და საბაზრო ინფრასტრუქტურა; • სასტუმროების, გასართობი ცენტრების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების სიმცირე; • რაიონში მოსახლეობის მიგრაციის უარყოფითი დინამიკა; • საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურა; • პროფესიული სასწავლებლების არარსებობა; • კულტურის ცენტრების, პარკების, ბიბლიოთეკების, სპორტული სკოლების არასაკმარისი რაოდენობა და და ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • დასახლებების იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მგომარეობა; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების (სასმელი წყლის,საკანალიზაციო დასანიაღვრე) გაუმართაობა, • მყარი ნარჩენების მართვის სისტემის არაეფექტურობა; • მძიმე ეკოლოგიური გარემო (დაბინძიურებული წყალი, ჰაერი); • მაღალი სტანდარტების სასტუმროების სიმცირე • მოძველებული ტურისტული ინფრასტრუქტურა • ტურისტული მომსახურებების დაბალი დონე • შიდა გზების და ისტორიულ ძეგლებთან

	მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა; • მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ათვისების სტრატეგიის არარსებობა; • სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალი მოსავლიანობა და საქონლის დაბალპროდუქტიულობა; • ფერმერთა შორის კოოპერაციის დაბალი დონე; • სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემკრები, შესანახი მაცივარ/საწყობების და გადამამუშავებელი ობიქტების ნაკლებობა; • მოძველებული სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და მექანიზაციის საშუალებების ნაკლებობა; • საირიგაციო ინფრასტრუქტურის ცუდი მდგომარეობა; • სანაშენე, სათესლე და სანერგე მასალის წარმოების არარსებობა; • წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების არასაკმარისი ხარისხით გამოყენება;
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ადამიანური რესურსების პროფესიული გადამზადება, უნარ-ჩვევების გაუმჯობესება; • ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პერსპექტივების გამოყენება რეგიონებსშორისი პროექტების განსახორციელებლად; • კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ორივე სექტორისათვის სასარგებლო პროექტების გამოსავლენად და განსახორციელებლად; • განახლებადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგორესურსების გამოყენება; • ეკონომიკური განვითარების მაღალი პოტენციალი; • ინვესტორების გაზრდილი ინტერესი მუნიციპალიტეტში არსებული წიაღისეულის მიმართ; • სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების პოტენციალი; • სახელმწიფოსა და დონორების მიერ ბიზნეს სექტორის ხელშეწყობისთვის სპეციალური პროგრამების ინიცირება; • ახალი ორგანიზებული ტურისტული მომსახურებების პაკეტების შეთავაზება მომხმარებლებისათვის;	• ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; • პოლიტიკური არასტაბილურობა; • ბუნებრივი სტიქიები; • ნარჩენების მართვის სისტემის გაუმართავობის შედეგად ტურისტული ზონების დაბინძურება და ტურისტული პოტენციალის დაქვეითება; • სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია; • სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ფასების მატება; • ეთნიკური უმცირესობების არასათანადოდ ინტეგრაცია სასწავლო პროცესში

• ტურისტების მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა; • მაღალი ხარისხის კვებისა და სხვა ტურისტული ობიექტების გახსნა • რეგიონის ტურისტული ცნობადობის გაზრდა და პოპულარიზაცია სათანადო მარკეტინგული კამპანიის საშუალებით; •	

IV. ხედვა. მისია და პრიორიტეტები

ა) მუნიციპალიტეტის განვითარების გრძელვადიანი ხედვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ გრძელვადიან მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის ან სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე მუნიციპალური პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდომარეობის დადგომას, რასაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ითვალისწინებს.

ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ჩართვა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში. წინამდებარე ხედვა 20 წლიან პერიოდს მოიცავს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულია, სადაც უზრუნველყოფილია არსებული ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წიაღისეულის, მიწისა და წყლის რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენება.

მუნიციპალიტეტში არსებული ბიზნეს პოტენციალის შესახებ ინფორმაციის მართვის სისტემა და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტს მიმზიდველს ხდის საერთაშორისო და ადგილობრივი ინვესტორებისათვის. რეგიონში განვითარებულია მცირე და საშუალო მეწარმეობა,

რასაც ხელს უწყობს შესაბამისი საკონსულტაციო და ინფორმაციული უზრუნველყოფის მომსახურება და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობა.

მრეწველობა და სოფლის მეურნეობა რეგიონის ეკონომიკის წამყვანი დარგებია. წიაღისეულის მოპოვება-გადამუშავებაში, ასევე, სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში დანერგილი ინოვაციები, მეწარმეთა და ფერმერთა კოოპერაციისა და კონსოლიდაციის მექანიზმები ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოები სტიმულს აძლევენ მემცენარეობისა და მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას.

ტურიზმი მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ–ერთი ძირითადი დარგია. ტურისტული მომსახურების ობიექტები და საინფორმაციო ცენტრები, ტურიზმის დარგში დასაქმებული შესაბამისი კავლიფიკაციის მქონე პერსონალი ადეკვატურ მომსახურებას უწევენ მუნიციპალიტეტში ვიზიტად მყოფ ტურისტებს. მუნიციპალიტეტის რეკრეაციული ზონები იზიდავს უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემა, გამართული წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს რეგიონის მოსახლეობას უსაფრთხო გარემო პირობებით და ახდენს გარემოს დაბინძურების პრევენციას. ამასთან, ბუნებრივი კატასტროფების, ადამიანთა ჯანმრთელობასა და ეკოსისტემებზე შესაძლო ზიანისა და ეკონომიკური ზარალის რისკები მინიმუმამდეა შემცირებული.

ბ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. ქვენოთ მოცემულ მისიაში წარმოადგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტი იმერეთის მხარეში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულია, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მუნიციპალიტეტის მდგრად სოციო-ეკონომიკურ განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის სრულად

გამოყენებასა და მოსახლეობის უზრუნველყოფას ეფექტური სოციალური მომსახურებით, ასევე, მომავალი თაობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ოგრანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

V. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

პრიორიტეტების დოკუმენტის წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პროორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად. ამასთან, დოკუმენტის შემდგომ ვერსიებში წარმოდგენილი პრიორიტეტები, შედეგები, ღონისძიებები/აქტივობები და მათი შესრულების კონკრეტული ინდიკატორები (ან სამიზნე მაჩვენებლები) კიდევ უფრო დაკონკრეტდება.

პრიორიტეტი 1 : საბაზისო ინფრასტრუქტურის მშენებლობის განვითარება და საზოგადოებრივი მომსახურეობების გაუმჯობესება

შედეგი 1.1: უბისა-ღორეშის 5კმ-ანი გზის რეაბილიტაცია

შედეგი 1.2: ხიდების, ბოგირების აშენება და შეკეთება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რითიც ისარგებლებს 28 000 ადამიანი

შედეგი1.3: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩებისა და ტროტუარების მოწყობა, მოვლა-პატრონობა

შედეგი 1.4: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის მოწყობა

შედეგი 1.5 ზვარის ახალგაზრდული ბანაკის მოწყობა

შედეგი 1.6: მოხდება გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

შედეგი 1.7: ხარაგაული-ბაზალეთის გზის რეაბილიტაცია სოფ.ღარიხევის გადასახვევამდე

შედეგი 1.8: ზვარის ახალგაზრდული ბანაკის 2.5 კმ-ანი გზის რეაბილიტაცია

შედეგი 1.9: სოფ.გედსამანიის ცენტრალური სასოფლო გზის რეაბილიტაცია

შედეგი 1.10: გზის დამცავი კედლების მოწყობა

შედეგი 1.11: ზვარის ახალგაზრდული ბანაკის ინვენტარით აღჭურვა

შედეგი 1.12: ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების ღეაბილიტაცია

შედეგი 1.13: სოფ.ვახანის ცენტრალური სასოფლო გზის რეაბილიტაცია

შედეგი 1.14: სოფ.საღანძილეში საბავშვო ბაღის მშენებლობა

შედეგი 1.15: სოფ.ნადაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობა

შედეგი 1.16: ბაზალეთი-სარგვეშის 5კმ-ანი გზის რეაბილიტაცია

შედეგი 1.17: მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტზე შშმ პირებისათვის პანდუსის მოწყობა

პრიორიტეტი 2: სოფლის მეურნეობის განვითარება და ხელშეწყობა

შედეგი 2.1: სანერგე და სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა, რითიც ისარგებლებს 2000 ზე მეტი ადამიანი

პრიორიტეტი 3: მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ შემეცნებითი ცხოვრების ხელშეწყობა

შედეგი 3.1: ზვარის ახალგაზრდული ბანაკის ფუნქციონერებისათვის მოხდება არსებული პიონერთა ბანაკის შენობის რეაბილიტაცია, შესაბამისი კომუნიკაციების (დენი, წყალი, კანალიზაცია,გზა) მოწესრიგებით. მოეწყობა ღობე 600 გრძივ მეტრზე, მოწესრიგდება ეზო და სათამაშო მოედანი. ისარგებლებს 600 ადამიანი

პრიორიტეტი 4: ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელ გარემოს მოწესრიგების, ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების და სოციალური უზრუნველყოფისა და განვითარების ხელშეწყობა.

შედეგი 4.1 რეგიონში კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და განვითარება

შედეგი 4.2 ახალგაზრდული განვითარების პროგრამების და ინიციატივების შემუშავება და მხარდაჭერა.

შედეგი 4.3 ჯანდაცვის მომსახურების ხარისხიანი სერვისების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა

შედეგი 4.4 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული სოციალური პროგრამების განხორციელება

შედეგი 4.5 შშმ პირებისათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და შესაბამისი სტანფდარტების დაცვის უზრუნველყოფა.

შედეგი 4.6 საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და პედაგოგების / ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება

შედეგი 4.7 მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის სოციალური სახლების სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

შედეგი 4.8 მიწისძვრითა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა